

სსიპ „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატა“

აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტების მიერ
სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია

აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის

საბჭოს გადაწყვეტილებით

ოქმი № ____

„27“ „დეკემბერი“ 2012წ.

1. საერთო დებულება

- 1.1. დებულება „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტების მიერ სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ შემუშავებულია „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიხედვით და შეესაბამება „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდება“-ს.
- 1.2. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს ექსპერტთა მუშაობის წესს სასაქონლო ექსპერტიზისა და პალატის წესდებით გათვალისწინებული სხვა სახის ექსპერტიზის ჩატარებისათვის და აუცილებელია აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყველა ექსპერტისათვის.
- 1.3. აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის სტატუსი, მისი ექსპერტების კომპეტენტურობა იძლევა საშუალებას წარმოებული ექსპერტიზის აქტები გამოყენებული იქნეს როგორც საქართველოს შიგნით, დაგათვალიეროს (სასამართლოს, არბიტრაჟისა და მედიაციის საქმეთა წარმოებაში), ასევე საერთაშორისო სამართლის მოქმედ ნორმების და ნორმატიული აქტების შესაბამისად, შემკვეთის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

2. ექსპერტიზის ჩატარების წესი

- 2.1. სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ექსპერტიზის ჩატარებასთან, იწარმოება შემკვეთის მიერ გაკეთებული განაცხადის საფუძველზე. განაცხადი უნდა შეიცავდეს მონაცემებს შემკვეთის დასახელებაზე, მის მისამართზე, სატელეფონო ნომერს, ელექტრონულ ფოსტას, პასუხისმგებელი პირის სახელსა და გვარს, საქონლის დასახელებასა და მის ადგილმდებარეობას, ექსპერტიზის დავალებას. განაცხადის მიღება შესაძლებელია როგორც წერილობითი ფორმით, ასევე ელექტრონული ფოსტით და გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში სატელეფონო შეტყობინებით.
შემკვეთსა და შემსრულებელს შორის მიღწეული შეთანხმებით, ექსპერტიზის შესრულების პირობა შესაძლებელია განისაზღვროს ხელშეკრულებით, საგარანტიო წერილით და ა. შ. შეთანხმებას ექვემდებარება ასევე ანაზღაურების ოდენობა და ფორმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ერთჯერად დავალებას, ასევე სატარიფო მომსახურებას. (იხ. დანართი № 1).
წერილობითი ფორმით შემოსულ განაცხადს ხელს უნდა აწერდეს დაინტერესებული უფლებამოსილი პირი.
- 2.2. ექსპერტიზის დავალება განაცხადში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, შეიცავდეს მთლიან ინფორმაციას ექსპერტიზის ობიექტზე (საგანზე) და მისი კვლევის კონტროლზე (გამოკვლევაზე).

- 2.3. განაცხადი რეგისტრირდება ექსპერტიზის განყოფილების რეგისტრაციის ჟურნალში რეგისტრაციის ჟურნალში გატარების დღისათვის და ეძლევა რიგითობის ნომერი, ამასთან მალფუჭადი საქონლის რეგისტრაციის დროს მიეთითება განაცხადის შემოსვლის დროც. ყოველი ახალი წლის პირველი სამუშაო დღიდან იწყება შემოსული განაცხადების ახალი ნუმერაცია.
- 2.4. შემოსული განაცხადის საფუძველზე ხდება ექსპერტიზის განრიგის გაფორმება (იხ. დანართი №2) რომელშიც უნდა აღინიშნოს: ნომერი, განაცხადის შემოსვლის თარიღი, ექსპერტიზის დაწყების თარიღი, ექსპერტიზის ობიექტის და ექსპერტიზის დავალების აღწერა, მონაცემები შემკვეთზე, ექსპერტიზის ჩატარების თანხის ოდენობა და სხვა.
- 2.5. ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელი ვალდებულია განაცხადის რეგისტრაციიდან შემკვეთთან შეთანხმებულ ვადაში, ხოლო მალფუჭად საქონელთან მიმართებაში არაუგვიანეს 24 საათის ვადაში მიავლინოს ექსპერტი ექსპერტიზის ჩასატარებლად, გაუფორმოს ხელმოწერილი და ექსპერტიზის განყოფილების ბეჭედასმული განრიგი, რომელშიც მითითებული იქნება ექსპერტის სახელი, გვარი, განრიგის გაცემის დრო, რომელიც ექსპერტიზის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს.
- 2.6. იმ შემთხვევაში თუ განაცხადში მითითებული ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, შემკვეთს წერილობით უნდა განემარტოს მოტივირებული უარის მიზეზი.
- 2.7. განრიგის მიღების შემდეგ ექსპერტი ვალდებულია:
- 2.7.1. შეატყობინოს შემკვეთს მისი მზადყოფნა განრიგში მითითებული ექსპერტიზის ჩატარებისათვის დაინტერესებული პირის სამუშაო რეჟიმში;
- 2.7.2. დარწმუნდეს, რომ შემკვეთის მიერ ყველა პირობაა შექმნილი ადგილზე ექსპერტიზის ჩატარებისათვის, კერძოდ:
- შრომის პირობები (შენობა-ნაგებობა, დამხმარე მუშები და ა. შ.);
 - დაცულია შრომისა და ექსპერტის უსაფრთხოების პირობები;
 - ექსპერტიზისთვის გამზადებული საქონელი სორტირებული (დახარისხებული), პარტიებად სეპარირებული და თავისუფლად მიღწევადია;
 - ექსპერტიზის ჩატარებას დაესწროს არანაკლებ 2 (ორი) კომპეტენტური პირი შემკვეთი ორგანიზაციისაგან ექსპერტიზის აქტის კონსტატაციურ ნაწილში მონაწილეობის მისაღებად, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში მწარმოებლის, მომწოდებლის, გაფორმების ეკონომიკური ზონის, საკარანტინო განყოფილების ან სხვა დაინტერესებული უწყების წარმომადგენელი;
 - წარმოდგენილი იქნეს ყველა საჭირო დოკუმენტი შესამოწმებელ საქონელთან მიმართებაში (სატრანსპორტო თანმხლები, ნორმატიულ-ტექნიკური და სხვა)
 - თუკი შემკვეთი არ არის საქონლის პირველი რიგის მფლობელი, ექსპერტი ვალდებულია მოითხოვოს იმ ორგანიზაციის თანმხლები დოკუმენტები, რომლითაც განხორციელდა საქონლის გადმოგზავნა;
- შემკვეთის მიერ წერილობითი განაცხადის საფუძველზე ექსპერტის მიერ შესაძლებელია არაერთგვაროვანი საქონლის პარტიების შემოწმება როგორც ერთი მთლიანი პარტიისა, თუკი ის არ ეწინააღმდეგება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს. ასეთი წერილობითი თხოვნის შესახებ ექსპერტი აკეთებს შენიშვნას ექსპერტიზის აქტში.
- 2.7.3. ფაქტიურად არსებული პირობებიდან გამომდინარე და ამ დებულების გათვალისწინებით ორგანიზება გაუწიოს თავის სამუშაოს ექსპერტიზის ჩასატარებლად.
- 2.7.4. თუკი ექსპერტიზის შემკვეთი ექსპერტიზის ჩატარების მსვლელობის დროს შეცვლის ექსპერტიზის დავალების შინაარსსა და მოცულობას, ექსპერტი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელს.
- 2.7.5. იმ შემთხვევაში თუ შემკვეთი ითხოვს წარმოდგენილი საქონლის პარტიის არა მხოლოდ ხელშეკრულების პირობებით შემოწმებას, არამედ ერთდროულად საერთაშორისო ან სხვა სტანდარტებთან შესაბამისობაზე, შესაძლებელია საქონელი შემოწმებული იქნეს როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასევე საერთაშორისო ან სხვა რომელიმე სტანდარტით განსაზღვრული მონაცემების შესაბამისობაზე.

2.7.6. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტის ექსპერტიზის ჩატარების ადგილზე გამოცხადებისას ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა ექსპერტიზის შემკვეთის მიზეზით, კერძოდ: არ შემოვიდა საქონელი, შემკვეთმა ვერ შეძლო ექსპერტიზის ჩატარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, (სამუშაო ადგილი, განათება, გათბობა ზამთრის პირობებში, დამხმარე მუშახელი და სხვა) ვერ უზრუნველყო საქონლის მთლიანობა (დაზიანებლობა), ექსპერტისათვის ტექნიკური უსაფრთხოების გარემოს შექმნა და სხვა, ექსპერტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს პალატის ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელობა და მასთან შეათანხმოს შემდგომი მოქმედება. თუკი ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელი მიიღებს გადაწყვეტილებას ექსპერტიზის შეწყვეტის თაობაზე, ხდება გაცემული ექსპერტიზის განრიგის ანულირება, ხოლო შემკვეთს ექსპერტის სამსახურეობრივი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გაეცემა წერილობით მოტივირებული უარი ექსპერტიზის ჩატარებაზე პალატის ადმინისტრაციის მიერ.

ექსპერტი ვალდებულია ექსპერტიზის განყოფილებაში ჩააბაროს განრიგი, სადაც მითითებული იქნება შემკვეთის ის მიზეზი, რის გამოც ვერ ჩატარდა ექსპერტიზა, ასევე ფაქტიურად გახარჯული დრო გზაში. თუკი ექსპერტიზის შემკვეთი წინააღმდეგია განრიგში გააკეთოს ასეთი აღნიშვნა, ამ შემთხვევაში აღნიშვნას მომხდარზე აკეთებს თვითონ ექსპერტი, უთითებს რა შემკვეთის რეკვიზიტებს და განრიგს აბარებს ექსპერტიზის განყოფილებაში.

2.7.7. თუკი მოცემული დებულების ცალკეულ პუნქტების განმარტებები ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში თავისი შინაარსით არ შეესაბამება მოქმედ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს ან საქართველოს ნორმატიულ აქტებს, მაშინ ექსპერტი ხელმძღვანელობს ამ უკანასკნელით.

2.7.8. ექსპერტიზა ტარდება ექსპერტის უშუალო მონაწილეობით, მოცემული ექსპერტიზის ამოცანის შესაბამისად. ექსპერტიზის ამოცანის ფორმულირება მოცემული ექსპერტიზის შემკვეთის განაცხადში, გაცემულ ექსპერტიზის განრიგში და ექსპერტიზის აქტში ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.

ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ექსპერტი აღნუსხვას მისთვის იმ ყველა საჭირო ინფორმაციას და შეაქვს სამუშაო რვეულში, რაც აუცილებელია ექსპერტიზის აქტის გაფორმებისათვის.

2.7.9. ექსპერტიზის ჩატარების დროს ექსპერტისათვის წარდგინდეს ორიგინალ დოკუმენტებზე ექსპერტი აკეთებს მინიშნებას „წარედგინა ექსპერტს“, ადებს თავის ხელწერას და აღნიშნავს ექსპერტიზის დაწყების თარიღს.

2.8. იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტს გამოსაკვლევად წარედგინა ტრანსპორტირების დროს დაზიანებული საქონელი ან არაგამართულ და დაზიანებულ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონელი, ექსპერტი ვალდებულია შემკვეთისგან მოითხოვოს შესაბამისი სატრანსპორტო ორგანიზაციის მიერ გაცემული აქტი (კომერციული ან სხვ.) თუკი შემკვეთი ითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას კომერციული აქტის გარეშე, ექსპერტი ექსპერტიზის განყოფილებასთან შეთანხმების შემდეგ ატარებს ასეთი სახის ექსპერტიზას და ამასთან ექსპერტიზის აქტში აღწერს სატრანსპორტო საშუალებების ფაქტიურ მდგომარეობას, ადგილების შეფუთვას, პლომბებს (ლუქებს, ბეჭდებს) და ა.შ.

2.8.1. განრიგის ნიმუშის ფორმა მოყვანილია აღნიშნული დებულების დანართში №2 მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია სხვა ტიპის განრიგის შემუშავება, დამტკიცება და მისი გამოყენება ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტებისათვის.

3. ექსპერტიზის სახეები

3.1. სახალხო მოხმარებისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონლის ხარისხისა და რაოდენობის განმსაზღვრელი ექსპერტიზა;

3.2. ამავე საქონლის ღირებულების (ფასის), მათ შორის საბაჟო ღირებულების განმსაზღვრელი ექსპერტიზა;

- 3.3. საქონლის წარმოშობის ქვეყნისა და სასაქონლო ნომენკლატურის კოდის განმსაზღვრელი ექსპერტიზა;
- 3.4. გადამუშავების რეჟიმში მყოფი (და სხვ.) საქონლის გამოსავლიანობისა და ნედლეულის ხარჯვის ნორმების განმსაზღვრელი ექსპერტიზა;
- 3.5. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- 3.6. ფინანსური და საბუღალტრო ექსპერტიზა;
- 3.7. შენახვის რეჟიმში მყოფი, ვადაგასული, ხარისხდაქვეითებული საქონლის ხარისხის ექსპერტიზა-კონსულტაციის სახით;
- 3.8. ყველა სხვა სახის ექსპერტიზა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და აღნიშნულ დებულებას.

4. საქონლის ხარისხის განმსაზღვრელი ექსპერტიზის ჩატარება

4.1. შემკვეთის მიერ დასმული ამოცანის პირობის მიხედვით, რომელიც ეხება საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრას, საქონლის ხარისხის მიმართ იმ მოთხოვნების გათვალისწინებით რაც მოცემულია ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციაში ან კონტრაქტში (ხელშეკრულებაში), ექსპერტი ირჩევს:

4.1.1. შემოწმების მეთოდები:

გაზომვითი მეთოდი - მეთოდი, რომლითაც პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრა ხდება გაზომვითი ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით; გაზომვითი მეთოდი ეყრდნობა კონტროლსა და გაზომვითი ტექნიკური საშუალებების გამოყენებისაგან მიღებულ მონაცემებს.

გაზომვითი მეთოდის მეშვეობით ხორციელდება ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, როგორცაა პროდუქტის მასა, დენის ძალა, ავტომობილის სიჩქარე და სხვა.

ორგანოლექტიკური მეთოდი - პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ხდება ადამიანის გრძნობითი ორგანოების შეგრძნების ანალიზის საფუძველზე.

- ამ მეთოდით განისაზღვრება საქონლის ხარისხის ისეთი მაჩვენებლები როგორცაა: შეხედულება (ფერი, ფორმა, კონსისტენცია და სხვა), სუნი, გემო, ხმა, ხელის შეხებით გამოწვეული შეგრძნება, არსებული წუნი.

- ორგანოლექტიკური მეთოდით ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრა არ გამოირიცხავს ტექნიკურ საშუალებათა (ლუპა, სახაზავი, სასწორი, მიკროსკოპი, მიკროფონი და სხვ.) გამოყენებას, რომლებიც ამაღლებენ გრძნობითი ორგანოების შეგრძნების შესაძლებლობებს.

4.1.2. შემოწმებათა სახეობები:

შერჩევითი შემოწმება - შემოწმება, რომლის მეშვეობით შედეგის დადგომა ხდება ერთი ან რამოდენიმე ნიმუშის შემოწმების შედეგად.

შერჩევითი მეთოდით საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების შემოწმება და მათი გავრცელება მთელს წარმოდგენილ პარტიაზე დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუკი ის გათვალისწინებულია კონტრაქტის (ხელშეკრულების) პირობებით, ან ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებით აღნიშნულ საქონელზე.

თუ კონტრაქტით ან ხელშეკრულების პირობით არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილი პროდუქციის ხარისხის შემოწმება შერჩევითი მეთოდის საშუალებით, მაშინ აღნიშნული საქონლის პარტიის ხარისხობრივი შემოწმება ხორციელდება მთლიანად (სათითაოდ).

4.1.3. საქონლის გამოცდათა (ანალიზის) სახეები

დაშლითი გამოცდა - გამოცდა, რომლის დროსაც გამოიყენება დაშლითი კონტროლის მეთოდები, რომლებიც იწვევენ ობიექტის უვარგისობას (დაშლას) მის გამოყენებასთან მიმართებაში.

არადაშლითი გამოცდა - გამოცდა, რომლის დროსაც გამოიყენება არადაშლითი კონტროლის მეთოდები, რომლებიც არ იწვევენ ობიექტის უვარგისობას (დაშლას) მის გამოყენებასთან მიმართებაში.

4.1.4. გამოცდის ჩატარების ადგილი და პირობები:

ლაბორატორიული გამოცდები: გამოცდები, რომლებიც ტარდება ლაბორატორიულ პირობებში.

- ლაბორატორიული გამოცდების ჩატარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ საკონტრაქტო, სახელშეკრულებო ან სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად რეგლამენტი ითვალისწინებს ხარისხის ფიზიკო-ქიმიურ, ფიზიკო-მექანიკურ, მედიკო-ბიოლოგიურ თუ სხვა მონაცემების განსაზღვრას, რომელიც მიიღწევა ლაბორატორიული კვლევით.
 - ლაბორატორიული კვლევისათვის (გამოცდისათვის) ნიმუშების აღება ხდება უშუალოდ ექსპერტის მიერ. ნიმუშების მოცულობა (რაოდენობა, მასა, ნიმუშის განზომილება), შეფუთვის ტიპი, მისი შენახვის წესი, უნდა პასუხობდეს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს.
 - აღებულ ნიმუშებს თან უნდა ახლდეს ეტიკეტი, რომელზეც მითითებული იქნება საქონლის დასახელება, ნიმუშების აღების დრო, პარტიის ნომერი, ასევე სხვა მაჩვენებლები, რომლებიც მიუთითებენ ექსპერტიზის ჩასატარებლად წარმოდგენილი საქონლის პარტიაზე მათ კუთვნილებას. ნიმუში ილუქება (ან იბეჭდება) ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ნიმუშის დაცულობა გაყალბებისაგან (შეცვლა ან სხვა).
 - აუცილებელია ნიმუშის აღების აქტის გაფორმება, რომელიც ნიმუშთან ერთად გადაეცემა ექსპერტიზის შემკვეთს ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად ან შესაბამისად საარბიტრაჟო ნიმუშის სახით.
 - გამოცდის ოქმის საფუძველზე, რომელშიც აღწერილია ლაბორატორიული ანალიზის შედეგები, ხდება ექსპერტიზის აქტის გაფორმება. გამოცდის ოქმი არის ექსპერტიზის აქტის განუყოფელი ნაწილი და მისი ასლი ინახება ექსპერტიზის აქტთან ერთად. ლაბორატორიული გამოცდის ოქმის არსებობის შესახებ ექსპერტი აკეთებს მინიშნებას ექსპერტიზის აქტში.
 - ექსპერტიზის შემკვეთის უარი ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებაზე იძლევა საფუძველს ექსპერტიზის განაცხადის ანუღირებაზე (დაკვეთის შესრულების შეუძლებლობა).
- 4.2. ექსპერტი ამოწმებს წარმოდგენილი საქონლის ხარისხს, აკეთებს სამუშაო რვეულში მინიშნებებს არსებულ წუნთან და წუნის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, აუცილებლობის შემთხვევაში საზღვრავს დანაკარგს პროცენტებში და ასევე ახდენს სხვა ქმედებებს, რაც ფორმირებულია ექსპერტიზის დავალებაში. პირადი შტამპის არსებობის შემთხვევაში იყენებს მას დაწუნებული საქონლის მარკირებისათვის.
- 4.3. მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების შემოწმებისას, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კონტრაქტით (ან ხელშეკრულებით) დაუშვებელია ქარხნული წესით ლუქდადებული კვანძებისა თუ დეტალების გახსნა, თუკი ექსპერტიზა ტარდება საგარანტიო საამქროს ან დამამზადებელი ქარხნის (საწარმოს) წარმომადგენლების გარეშე.
- 4.4. თუკი ექსპერტიზის დროს გამოვლენილი დეფექტები მიღებულია ტრანსპორტირების (ან შენახვის) პირობებიდან გამომდინარე, ექსპერტს უფლება აქვს გააგრძელოს ექსპერტიზის ჩატარება მას შემდეგ, რაც შემკვეთის მიერ შესრულებული იქნება წარმოდგენილი საქონლის მიმართ ისეთი ქმედებები, რომელიც ექსპერტს მისცემს უფლებას ობიექტურად შეფასდეს წარმოდგენილი საქონლის ხარისხი.

ექსპერტიზის შემკვეთის უარი ზემოთაღნიშნული პირობის შესრულებაზე, იძლევა საფუძველს უარი ითქვას ექსპერტიზის ჩატარებაზე და გაუქმდეს განაცხადი.

5. სასაქონლო ადგილების ან საქონლის რაოდენობის განსაზღვრის წესი

- 5.1. ექსპერტიზის ამოცანიდან გამომდინარე ექსპერტი ირჩევს საქონლის რაოდენობის ზუსტი განსაზღვრის მეთოდს (დათვლა, გაზომვა ან აწონვა, არჩევითი ან სრული შემოწმება) იმ წინაპირობის გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია სახელშეკრულებო პირობებში ან ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციაში (საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისო, საწარმოო და სხვა სახის სტანდარტებში).

საქონლის რაოდენობრივი შერჩევითი შემოწმება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი გათვალისწინებულია საკონტრაქტო (ხელშეკრულებითი) პირობებით და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით.

საქონლის რაოდენობის მიახლოებითი განსაზღვრა დაუშვებელია.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისაგან გამოირჩევა რაოდენობის განსაზღვრა მცურავი საშუალებების (გემების) ჩაძირვის მეთოდით. ამ მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარებისათვის სპეციალური მეთოდური გაანგარიშებების გამოყენებას.

5.2. სატრანსპორტო საშუალებების გახსნის პროცესში მის უშუალოდ გახსნამდე, ექსპერტი ვალდებულია:

- შეადაროს სატრანსპორტო საშუალებებზე არსებული ნომრები იმ ნომრებთან, რომლებიც მითითებულია ტვირტის თანმხლებ დოკუმენტაციაში, კერძოდ სატრანსპორტო ზედდებულში;

- შეამოწმოს მათი ტექნიკური და კომერციული მდგომარეობა: არსებული ხილული დაზიანება, კარებებისა და მათი ჩამკეტების გამართულობა, გამომგზავნის ან გაგზავნის პუნქტის (სადგური, პორტი) მიერ დაყენებული პლომბების (ლუქების, ბეჭდების) გამართულობა, მათზე არსებული ტვიფრის (ანაბეჭდების) მონაცემების შესაბამისობა სატრანსპორტო და თანმხლებ დოკუმენტაციაში ნაჩვენებ მონაცემებთან. სატრანსპორტო საშუალებების ან სატრანსპორტო დანადგარების გახსნის პროცესში ექსპერტი ვალდებულია:

- ესწრებოდეს შემკვეთის მიერ სატრანსპორტო საშუალებიდან პლომბების (ლუქების, ბეჭდების) მოხსნას;

- შეამოწმოს საქონლის შენახვისათვის გამოყენებული არსებული საშუალებები და მოწყობილობები;

- განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალებათა გამოსაყენებელი ფართისა და მოცულობის, საქონლის ადგილთა და რაოდენობით (საქონლით) შევსების ხარისხი, სასაქონლო რიგების (წყობის) დაურღვევლობა, ასევე დატვირთვისა და ტვირტის დამჭერი მოწყობილობების შესაბამისობა არსებულ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან;

- მიაქციოს ყურადღება საქონლის შეფუთვის მდგომარეობას, სასაქონლო და გამაფრთხილებელ მარკირებას, თუკი საქონლის რაობა ითხოვს მისდამი ფრთხილ მოპყრობას.

- შემოწმდეს სატრანსპორტო საშუალებაში არსებული ტემპერატურული რეჟიმი, თუკი ტრანსპორტირების პირობებით ის იყო გათვალისწინებული.

- გამოიყენოს გადმოტვირთვის პროცესში საქონლის რაოდენობისა და ადგილთა რაოდენობის განსაზღვრის ისეთი მეთოდი, რომელიც შემდგომში გამორიცხავს საქონლის ხელმეორედ გადათვლას.

საქონლის დათვლას და ადგილთა რაოდენობის აღწერას სატრანსპორტო საშუალებებიდან ერთდროულად აწარმოებს როგორც ექსპერტი, ასევე ექსპერტიზის შემკვეთის წარმომადგენელი (ან თვითონ შემკვეთი).

თუკი რაოდენობის განსაზღვრის დროს სატრანსპორტო საშუალებიდან აღმოჩნდება დაზიანებული ადგილი, რის შედეგადაც დაზიანდა ან დასველდა შიგთავსი საქონელი, დაირღვა კომპლექტაცია, ასეთი ადგილების გადაწყობა გადმოტვირთვის პროცესში ხდება ცალკე და გაისინჯება შიგთავსი როგორც კი დამთავრდება სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის სრული გადმოტვირთვა.

იმავედროულად მოწმდება და ფიქსირდება ისეთი სახის სასაქონლო წუნი, როგორცაა - ბზარები, ტეხილობა, ნახვრეტილობა, დეფორმაცია გამოწვეული დასველებისაგან, სხვადასხვა წარმომავლობის ლაქები, დაზიანებანი ჩამოღვრით, გადმოცვნილი შიგთავსი, საყოფაცხოვრებო მინის ნამტვრევები და სხვა სახის დეფექტები, რომლებიც ფიქსირდება მხოლოდ სარანსპორტო საშუალებათა გახსნის მომენტისათვის. ასევე შემღებისამებრ დგინდება ფიზიკური ზემოქმედებისა თუ სხვა სტიქიისაგან მიყენებული ზიანის გამომწვევი მიზეზები. მიზანშეწონილია ექსპერტიზის ობიექტის ფოტოგადაღება, ექსპერტიზის დასკვნის მეტი დამაჯერებლობისათვის. ამ შემთხვევაში გაწეული ხარჯები

(ფოტოგრაფირება, ვიდეომასალა, ფოტოს გამკლავება) ითვლება მომსახურებისათვის გაწეულ ხარჯებში.

5.3. სატრანსპორტო საშუალებიდან ყველა შესაძლო სახის საქონლის გადმოცლის შემდეგ ექსპერტი ვალდებულია:

- იმ შემთხვევაში თუკი აღმოჩნდა შემოწმებული (დათვლილი) სასაქონლო ადგილების ან საქონლის რაოდენობის, თანხლებ სატრანსპორტო ზედდებულში ან სხვა დოკუმენტაციაში მითითებულ რაოდენობებს შორის სხვაობა ან შეფუთვის დაზიანება, გულმოდგინედ მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება, მიაქციოს ყურადღება სატრანსპორტო საშუალების იატაკისა და სახურავის დაზიანების ფაქტს. აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტიზის შემკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს კომერციული აქტის ან სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობის აქტის შედგენა (წარმოდგენა).

5.4. სასაქონლო ადგილით მიღებული საქონლის რაოდენობრივი ექსპერტიზა

5.4.1. საქონლის ერთეული ადგილის გახსნამდე ექსპერტი ვალდებულია:

- დაათვალიეროს სათავსო, სადაც ინახება საქონელი, გაეცნოს მისი დალაგების წესს და შენახვის პირობებს (ტემპერატურა, ტენიანობა და სხვა).
- საფუძვლიანად შეამოწმოს სასაქონლო ადგილების რაოდენობა, დააფიქსიროს საკონტროლო თამასის, მეტალის კონსოლის, ლურსმნების შესაძლო მდებარეობა, მიაქციოს ყურადღება დაზიანებას ან რღვევის კვალს მათზე, დააფიქსიროს აგრეთვე მათზე არსებული სატრანსპორტო მარკირება, სამანიპულაციო ნიშნები, წარწერები.

5.4.2. სასაქონლო ერთეულის ადგილის უშუალოდ გახსნის დროს ექსპერტი ვალდებულია:

- დაესწროს თითოეული სასაქონლო ადგილის გახსნას;
- მოახდინოს სასაქონლო ადგილისა და სათავსო საშუალებების დათვალიერება, შეამოწმოს სასაქონლო ადგილის შევსებისა და წყობის ხარისხი, შესაფუთი მასალებისა და ყუთების მდგომარეობა.
- საქონლის მიმდებთან ერთად მოახდინოს საქონლის რაოდენობის განსაზღვრა თითოეული ასორტიმენტის ნიშნის მიხედვით.
- შეამოწმოს საქონლის შესახებ არსებული ინფორმაცია მისი არტიკულის, ზომის და ა.შ. შესახებ, რაც მითითებულია თვით საქონლის მარკირებაზე და შეადაროს ეს მონაცემები წარმოდგენილი თანხლებ დოკუმენტაციაში არსებული მომწოდებლის სპეციფიკაციასა და შესაფუთ ფურცელში აღნიშნულ მონაცემებს.
- შეადაროს წარმოდგენილი საქონლის საერთო რაოდენობა, შესაფუთ ფურცლებზე, სპეციფიკაციებში და სასაქონლო ადგილებზე მინიშნებული საქონლის რაოდენობას.

თუკი ექსპერტს წარედგინა საქონლის გამომგზავნის სპეციფიკაცია (თანხლები დოკუმენტაცია) და შესაფუთი ფურცლები ერთეული ადგილის რაოდენობის განსაზღვრის დროს, ექსპერტი ადარებს საქონლის ადგილის ნომერს მათში მოყვანილი ადგილების ნომრებს და მათი იდენტურობის შემთხვევაში ფაქტიური შემოწმებით მიღებული თითოეული საქონლის ადგილის რაოდენობას ადარებს შესაფუთი ფურცლების და ყუთების სპეციფიკაციაში მოყვანილ მონაცემებს, აღწუსხავს მათ შორის არსებულ განსხვავებებს, რასაც ადასტურებს თავისი და ექსპერტიზის შემკვეთის ხელწერით.

ანგარიშ-ფაქტურის, სპეციფიკაციის, აღწერილობის, შესაფუთი ფურცლების არარსებობა (არწარმოდგენა) არ არის ექსპერტიზის შეჩერების მიზეზი.

გადასატვირთი სპეციფიკაციის და საფუთავი ფურცლების არარსებობის (არწარმოდგენის) შემთხვევაში ექსპერტი თითოეული შემოწმებული სასაქონლო ერთეულის (ადგილის) მონაცემებს ადარებს ფუთულაზე არსებული მარკირების მონაცემებს, ხოლო თუკი ასეთი მარკირება არ არსებობს, აფიქსირებს თითოეულ შემოწმებულ სასაქონლო ადგილებზე საქონლის ფაქტიურ რაოდენობას, შეჰყავს რა მონაცემები სამუშაო რვეულში.

იმ შემთხვევაში თუკი ექსპერტი დაადგენს ფაქტიურად დათვლილ სასაქონლო ადგილების რაოდენობასა და წარმოდგენილი ერთეული სასაქონლო ადგილების

სპეციფიკაციასთან, შესაფუთ ფურცლებთან ან ფუთულებზე არსებულ მარკირებების რაოდენობებთან შეუსაბამობას, მისი შემდგომი ქმედებები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იძლევა განკარგულებას შეჩერდეს სასაქონლო ერთეული ადგილების გახსნა;

ბ) პირადად ექსპერტიზის შემკვეთთან ერთად ხელმეორედ ამოწმებს საქონელს (აწარმოებს გადათვლას, გაზომვას გადაწონვას და სხვა ქმედებებს).

გ) აწარმოებს სასაქონლო ერთეული ადგილის ტარის (ფუთულის სახეობის) დამატებით დათვალიერებას, რათა დაადგინოს დანაკლისის მიზეზი, საჭიროების შემთხვევაში იღებს წარმოდგენილი დაზიანებული ფუთულის ნიმუშებს გამოკვლევისათვის, აკეთებს დასკვნას რამდენად შესაძლებელია დანაკლისი საქონლის (საგნის) რაოდენობა მოთავსებულიყო ერთეულ სასაქონლო ადგილზე.

დ) ორგანიზაციას უკეთებს ერთეული სასაქონლო ადგილის საკონტროლო გადაწონვებს, რათა განისაზღვროს მისი მასა ნეტო და მასა ბრუტო.

ე) აფრთხილებს ექსპერტიზის შემკვეთს, რათა დაცული იქნეს ერთეული სასაქონლო ადგილის ფუთულა, რომელშიც გამოვლენილი იქნა დანაკლისი და ის საქონელი, რომელიც შიგნით აღმოჩნდა.

ვ) თუკი ექსპერტიზის პროცესში გამოვლინდა ფუთულებისა და ტარის დაზიანებები, ექსპერტი აძლევს რეკომენდაციას შემკვეთს სამართალდამცავი ორგანოებისათვის აღნიშნულზე შეტყობინების (გამომახების) გაკეთებისათვის.

ასეთ შემთხვევებში პალატის ხელმძღვანელობის მიერ შესაძლებელია დადგენილი იყოს წესი, რომლის გათვალისწინებით ექსპერტი ვალდებულია დაუკავშირდეს და ჩააყენოს საქმის კურსში განყოფილების ხელმძღვანელობა მის მიერ დაფიქსირებული მნიშვნელოვანი დანაკლისის შემთხვევაში, რათა მიღებული იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

5.5. საქონლის რაოდენობრივი განსაზღვრის ექსპერტიზა, როგორც წესი ტარდება უწყვეტად დროში.

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტი იძულებულია შეწყვიტოს ექსპერტიზის ჩატარება, მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის დაცულობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტი აკეთებს ჩანაწერს სამუშაო რვეულში.

5.6. ექსპერტს სისტემაში მოჰყავს ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები, კერძოდ: ითვლის საქონლის საერთო რაოდენობას წარმოდგენილი ასორტიმენტის მიხედვით, საქონლის რაოდენობას, რომელიც არ აკმაყოფილებს თანმხლები დოკუმენტაციის მონაცემებს (დანაკლისი, მეტობა, სხვაობა ასორტიმენტში და სხვა), თუკი შესაძლებელია აკეთებს დასკვნას წარმოშობილი შეუსაბამობაზე (განსხვავებაზე).

5.7. პალატის ექსპერტიზის განყოფილებამ შესაძლებელია მიიღოს და შეასრულოს დაკვეთა ისეთი რაოდენობრივი ექსპერტიზის ჩასატარებლად, რომელიც ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებებში (ავტოტრანსპორტი, რონოდა, ცისტერნა, საწყალოსნო ტრანსპორტი და სხვა), მათში საქონლის ჩატვირთვის პროცესში განსაზღვროს ტვირთის წონა (მასა), მოცულობა თუ სხვა რაოდენობრივი სიდიდე, იმავე მეთოდით რაც ამ დებულების პუნქტ 5.1-შია მოყვანილი.

5.8. ისეთი საქონლის რაოდენობის განსაზღვრა, რომლის მასა დამოკიდებულია ტენიანობაზე, მისი ფაქტიური სიდიდის (მნიშვნელობის) დადგენის გარეშე, არ დაიშვება.

5.9 ექსპერტის მიერ მასა (წონა) ნეტოს დადგენა წარმოდგენილი საქონლის მასა (წონა) ბრუტოსა და მასა (წონა) ტარის განსაზღვრის გარეშე დაუშვებელია.

6. მოთხოვნები ექსპერტიზის აქტის შედგენის დროს

6.1. ექსპერტიზის შედეგები აისახება ექსპერტიზის აქტში იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც ექსპერტის მიერ ჩაიწერება ექსპერტიზის პროცესში სამუშაო რვეულში.

6.2. ექსპერტიზის აქტები ივსება ექსპერტიზის აქტების სპეციალურ ფორმებზე, რომლებსაც შესაძლებელია გაჩნდეს დამცავი ბადე, რომელიც უზრუნველყოფს მის დაცულობას

ფალსიფიკაციისაგან. სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია პალატის მიერ შეიქმნას და ბრძანებით დამტკიცდეს ექსპერტიზის აქტის თავისუფალი ფორმა.

(იხ. აღნიშნული დებულების დანართი № 3 ექსპერტიზის აქტების ფორმების შესახებ).

- 6.3. ექსპერტიზის აქტის ორიგინალი შესაძლებელია დაწერილი იქნეს ექსპერტის მიერ ხელით, ან დაიბეჭდოს ისე, რომ ტექსტში გამოირიცხოს შესწორებები და შემოკლებები (გარდა საზოგადოდ მიღებული მნიშვნელობებისა).
- 6.4. ექსპერტიზის შემკვეთთან შეთანხმებით ექსპერტიზის აქტი შეიძლება დაიწეროს როგორც ქართულ, ასევე სხვა საერთაშორისოდ მიღებულ ენებზე.
- 6.5. ექსპერტიზის აქტი შედგება სამი ნაწილისაგან, ესენია: პროტოკოლური, საკონსტატაციო და დასკვნითი. აქტის შედგენისას ექსპერტი ავსებს სათანადო პუნქტებს, რომლებიც მოცემულია ექსპერტიზის აქტის ფორმებში.
- 6.6. ექსპერტიზის აქტის პროტოკოლური ნაწილი

აქტის სათაო ნაწილში აღინიშნება ექსპერტიზის აქტის ნომერი, რომელიც შეესაბამება განრიგის რეგისტრაციის ნომერს.

- ერთი შემკვეთის მიერ გაკეთებული განაცხადით, ერთი განრიგით შემოწმებული რამოდენიმე პარტიის საქონლის ექსპერტიზის აქტის შედეგები, ფორმდება ცალ-ცალკე აქტებით თითოეულ პარტიაზე, აქვთ მინიჭებული წილადური ნომერი, რომელთა მრიცხველში ნაჩვენებია განრიგის სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო მნიშვნელში - აქტის რიგითი ნომერი.

- ექსპერტიზის აქტის პროტოკოლურ ნაწილში მოცემულ პუნქტებში ექსპერტს შეჰყავს მონაცემები, რომლებიც ესადაგებიან პუნქტების დასახელებებს. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტს არ გააჩნია მონაცემები მათ შესავსებად, აქტის საკონსტატაციო ნაწილში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

საქონლის რამოდენიმე პარტიის გაფორმება შესაძლებელია ერთი ექსპერტიზის აქტით, თუკი მომწოდებელი, მწარმოებელი და შემკვეთი ერთიდაიგივე იურიდიული პირია.

- 6.7. ექსპერტიზის აქტის საკონსტატაციო ნაწილი.

- ექსპერტიზის აქტის საკონსტატაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს: წარმოდგენილი დოკუმენტალური მასალის შესწავლის აღწერას; არგუმენტირებულად აღწერილ მეთოდებს და ფაქტიურად დადასტურებული ექსპერტიზის შედეგს, ექსპერტიზის ამოცანიდან გამომდინარე; მინიშნებულ დროს (მალფუჭადი პროდუქციის შემოწმებისას) საქონლის შემოწმების დაწყებისას და დასრულებისას.

საპრეტენზიო ექსპერტიზის აქტის საკონსტატაციო ნაწილს ხელს აწერს ექსპერტი და შემკვეთი ოგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ექსპერტიზის ჩატარებაში, ხოლო თუკი ისინი არ ეთანხმებიან მის შინაარსს, შეუძლიათ გააკეთონ მინიშნება აქტის ამავე ნაწილში, რომელიც ითვლება ექსპერტიზის აქტის განუყოფელ ნაწილად. იმ შემთხვევაში თუკი ექსპერტიზის შემკვეთის წარმომადგენლები არ აწერენ ხელს აქტს (შინაარსობრივი შეუთავსებლობის გამო) და ასევე არ აფიქსირებენ აქტის ამავე ნაწილში უარის გამომწვევ მიზეზს, ექსპერტს აქვს უფლება გააფორმოს აქტი მათი ხელწერის გარეშე, ამასთან აკეთებს ექსპერტიზის აქტში შესაბამის განმარტებას.

- 6.8. ექსპერტიზის აქტის დასკვნითი ნაწილი

ექსპერტი ვალდებულია პასუხი გასცეს ექსპერტიზის დასმულ ამოცანას და მოახდინოს ექსპერტიზის შედეგების (დასკვნის) ფორმულირება. შედეგი (დასკვნა) შედგენილი უნდა იქნეს შესაძლოდ მოკლედ, კონკრეტულად და დასაბუთებულად, არსებული ობიექტური მონაცემებიდან გამომდინარე, არ უნდა ითხოვდეს ექსპერტის მიერ ხელმეორედ მის განმარტებას, ამასთან ის უნდა გამომდინარეობდეს აქტის საკონსტატაციო ნაწილში მოყვანილი მონაცემებიდან.

ექსპერტიზის შედეგს (დასკვნას) ექსპერტი აფორმებს და ხელს აწერს მას შემდეგ, რაც აქტის საკონსტატაციო ნაწილი ხელმოწერილია ექსპერტიზის შემკვეთის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ ექსპერტიზის ჩატარებაში.

- 6.9. ექსპერტიზის აქტების ეგზემპლარების რაოდენობა თანხმდება ექსპერტიზის შემკვეთთან. აქტების ყველა ეგზემპლარი უნდა იყოს გასარკვევად წასაკითხი, დაბეჭდილი როგორც საბეჭდო საშუალებებზე, ასევე კომპიუტერულ ტექნიკაზე. შესაძლებელია არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით განსაკუთრებულ შემთხვევებში ექსპერტიზის აქტების ხელით შევსება (გადამყვანი საშუალების გამოყენებით) და გაცემა ადგილზევე შემკვეთისათვის, ექსპერტიზის ჩატარების დამთავრებისთანავე.
- 6.10. გაფორმებული ექსპერტიზის აქტი და მისი დამატებითი ფურცლები მოწმდება პალატის ექსპერტიზის განყოფილების მრგვალი ბეჭდით.
- 6.11. შესწორებები (გადასწორებები) ექსპერტიზის აქტის პროტოკოლურ ან საკონსტატაციო ნაწილში:
- საპრეტენზიო ექსპერტიზის აქტში - მოწმდება ექსპერტის, შემკვეთის წარმომადგენელთა ხელწერებით და ექსპერტიზის განყოფილების ბეჭდით;
 - არასაპრეტენზიო ექსპერტიზის აქტში - ექსპერტის ხელწერით;
- შესწორებები, რომლებიც ხორციელდება ექსპერტიზის აქტის დასკვნით ნაწილში, თანხმდება ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელებთან, მოწმდება ექსპერტის ხელწერითა და ექსპერტიზის განყოფილების ბეჭდით.

7. ექსპერტიზის განრიგის გაფორმება

- 7.1. მონაცემები ექსპერტიზის განრიგის სახვით ნაწილში ხორციელდება მოცემული დებულების 2.4. პუნქტის შესაბამისად.
- 7.2. განრიგის უკანა გვერდზე ფიქსირდება ექსპერტის მიერ გახარჯული დრო შესრულებულ სამუშაოზე და მიეთითება გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხა ექსპერტიზის სამუშაოს გადახდის პირობიდან გამომდინარე.
- ექსპერტსაათი მოიცავს დროს, რომელიც იხარჯება წარმოდგენილი საქონლის თანმხლები და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობაზე, საქონლის შემოწმებაზე, აქტის წარმოებასა და სრულყოფაზე, ასევე დროს, რომელიც ექსპერტს ეხარჯება მსვლელობაში. ექსპერტის სამუშაო დროში მიითვლება ასევე მისი მოცდის (მოცდენის) დრო, ასევე დრო, რომელიც ჭირდება საქონლის სეპარირებას, სორტირებას (დახარისხებას) და სხვა მოქმედებებს კონკრეტულად საქონლის ექსპერტიზის კვლევის დაწყებამდე.
- განრიგის უკანა გვერდი მოწმდება ექსპერტიზის შემკვეთის ბეჭდითა და ხელწერით.
- 7.3. ყველა სხვა შემთხვევაში, როცა ექსპერტიზის ჩატარებისას მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესრულებული სამუშაოს მოცულობა და შინაარსი ითხოვს განრიგის სპეციალურ ფორმას, სავაჭრო პალატის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია ასეთი ფორმის განრიგის შემუშავება.

8. ექსპერტიზის აქტის რეგისტრაციისა და გაცემის წესი.

- 8.1. ექსპერტიზის აქტი და თანმხლები განრიგი ექსპერტიზის განყოფილებაში ბარდება არაუგვიანეს ექსპერტიზის დამთავრებიდან შემდეგ სამუშაო დღეს.
- 8.2. ექსპერტიზის აქტის ორიგინალი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში ან კომპიუტერიზირებულ ელექტრონულ სისტემაში არაუგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა.
- 8.3. ექსპერტიზის აქტი ექსპერტის ხელწერისა და პალატის ექსპერტიზის განყოფილების ბეჭდის გარეშე ძალადაკარგულია.
- 8.4. ექსპერტიზის აქტი თავის დამატებით, ლაბორატორიული და სხვა გამოკვლევების მონაცემებით, რომელზეც დაყრდნობით ექსპერტს გაცემული აქვს დასკვნა, ინახება არქივში მომდევნო 5 წლის განმავლობაში.
- 8.5. პალატას თავისი შიგა განაწესის ცვლილებებით შეუძლია ბრძანებით არეგულიროს ექსპერტიზის აქტების შენახვის დრო.
- 8.6. ნაბეჭდი, ხელით დაწერილი, ექსპერტიზის აქტის ერთი ეგზემპლარი ითვლება ორიგინალად და რჩება პალატაში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა

ექსპერტიზის შემკვეთს (პირადად, კურიერის მეშვეობით-ხელწერით), ან გაეგზავნება ფოსტით.

- 8.7. ექსპერტიზის აქტის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ, საკონსტატაციო, პროტოკოლურ და დასკვნით ნაწილში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ შემკვეთის მიერ საფუძვლიანი წერილობითი მოთხოვნის და ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე.
- 8.8. იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტიზის შემკვეთს გააჩნია დასაბუთებული პრეტენზია ექსპერტიზის დასკვნის შინაარსთან დაკავშირებით და თუ დასტურდება ექსპერტის მიერ ექსპერტიზის ჩატარების წესის დარღვევა, ინიშნება განმეორებითი ან საკონტროლო ექსპერტიზა.

9. განმეორებითი და საკონტროლო ექსპერტიზის ჩატარების წესი

9.1. განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების წესი.

განმეორებითი ექსპერტიზა ტარდება შემკვეთის (ან დაინტერესებული მხარის) მიერ მოწოდებული წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომელშიც დადასტურებული იქნება აღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების წესის დარღვევა, ასევე იმ შემთხვევებში თუ ასეთი გადაწყვეტილება გამოტანილია სასამართლო, საარბიტრაჟო და სხვა ორგანოების მიერ.

განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების პირობას წარმოადგენს:

- ა) პირველი (ძირითადი) და განმეორებითი ექსპერტიზის ამოცანის იდენტურობა;
- ბ) პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტის დასწრების აუცილებლობა;
- გ) ექსპერტიზის შემკვეთის წარმომადგენელთა თანდასწრება;
- დ) პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის დროს შემოწმებული საქონლის პარტიის წარმოდგენა;

განმეორებითი ექსპერტიზის განრიგი გამოიწერება არსებული წესის მიხედვით. განრიგის ნომრის მინიჭებისას, შემჩნევის სახით აღინიშნება „განმეორებითი ექსპერტიზა“ და ენიჭება პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის ნომერი.

განმეორებითი ექსპერტიზის ჩასატარებლად პალატის ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელობა გამოყოფს ერთ ან რამოდენიმე კვალიფიციური ექსპერტებისაგან შემდგარ ჯგუფს.

განმეორებით ექსპერტიზის აქტს ხელს აწერს ექსპერტი (ექსპერტები), რომლებმაც ის ჩაატარეს, ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა პირველი (ძირითადი) ექსპერტიზა, ასევე შემკვეთის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებაში.

განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებისათვის თანხას იხდის ამ ექსპერტიზის შემკვეთი, თუკი დასტურდება პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის შედეგი. სხვა შემთხვევაში განმეორებითი ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს პალატის ექსპერტიზის განყოფილება, რომელმაც ჩაატარა პირველი (ძირითადი) ექსპერტიზა.

9.2. საკონტროლო ექსპერტიზის ჩატარების წესი.

საკონტროლო ექსპერტიზის დავალებას განსაზღვრავს პალატის ხელმძღვანელობა.

საკონტროლო ექსპერტიზა ტარდება არა უგვიანეს მეორე დღისა ექსპერტიზის აქტის ჩაბარებიდან პალატის ექსპერტიზის განყოფილებაში რეგისტრაციისათვის.

პირველი ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტის დასწრება საკონტროლო ჩასატარებელ ექსპერტიზაზე - აუცილებელი არ არის.

საკონტროლო ექსპერტიზის ჩატარებისათვის შესაძლებელია წარდგენილი იქნეს საქონლის მთლიანი პარტია ან მისი ნაწილი ექსპერტიზის დავალებიდან გამომდინარე, რამდენადაც შესაძლებელი იქნება საკონტროლო ექსპერტიზის ჩატარება დასაბუთებული დასკვნის გასაცემად ექსპერტის მართებულ ქმედებაზე.

განრიგი საკონტროლო ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოიწერება დადგენილი წესით, მას ენიჭება პირველი (ძირითადი) ჩატარებული ექსპერტიზის განრიგის ნომერი აღვნიშვნით „საკონტროლო ექსპერტიზა.“

საკონტროლო ექსპერტიზას ახორციელებს პალატის მიერ გამოყოფილი კვალიფიციური ექსპერტი ან ექსპერტთა ჯგუფი.

საკონტროლო ექსპერტიზის აქტს ხელს აწერს:

- საკონტროლო ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოყოფილი ექსპერტი (ექსპერტები) თუკი მისი დასკვნა ემთხვევა პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის დასკვნას;

- საკონტროლო ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოყოფილი ექსპერტი (ექსპერტები) და პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის შემკვეთის წარმომადგენლები, თუკი საკონტროლო ექსპერტიზის დასკვნა არ ემთხვევა პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის დასკვნას.

საკონტროლო ექსპერტიზის ჩატარება ხდება პალატის ექსპერტიზის განყოფილების ხარჯით.

იმ შემთხვევაში, როცა საკონტროლო და პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის შდეგები ერთმანეთს არ ემთხვევა, შემკვეთს გადაეცემა საკონტროლო ან განმეორებითი ექსპერტიზის აქტი, ხოლო პირველი (ძირითადი) ექსპერტიზის აქტი პალატის ბრძანებით ანულირდება დამაჯერებლად განმარტებული მიზეზით, რის შესახებაც პალატა აცნობებს დაინტერესებულ მხარეებს.

10. ექსპერტის პასუხისმგებლობა

10.1 ექსპერტი თავისი განათლების და სპეციალური ცოდნის, კვალიფიციური გამოცდილების, კომპეტენტურობის, დამოუკიდებლად მოქმედების გათვალისწინებით, პასუხისმგებელია ექსპერტიზის აქტის შედგენის, შესაბამისად გაფორმებისა და მასში მოყვანილი მონაცემებისა და დასკვნის მართებულობაზე.

10.2 ექსპერტიზის შედეგების გაყალბების, წინასწარი განზრახვით არასწორი ექსპერტიზის აქტის გაფორმების შემთხვევაში, ექსპერტი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად დადგენილი მუხლის თანახმად.